პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

10 აგვისტო, კვირა, 1986 წ.
№ 155 (9816) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გუშინ მთელს ჩვენს ქვეყანაში საზეიმოდ აღინიშნა ფიზკულტურელის საკავშირო დღე

9 აგვისტოს თბილისში, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ჩატარდა მასობრივი სპორტული ღონისძიებები. თბილისის ყველა რაიონში გაიმართა სპორტული შეჯიბრებები და საჩვენებელი გამოსვლები, მაგრამ ჩატარდა ისეთი მასობრივი ღონისძიებაც, რომელშიც ერთობლივად მონაწილეობდნენ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ყველა რაიონის მშრომელები. მძლეოსნურ გარბენში, რომელმაც სტარტი ლენინის მოედანზე აიღო, ცალკეული რაიონების წარმომადგენლები ყოველ მომდევნო ეტაპზე ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. ასპარეზობა გამარჯვების პარკთან დასრულდა. შემდეგ სპორტული ზეიმის მონაწილეებმა პარკში გადაინაცვლეს, სადაც სპორტის ვეტერანებმა ყვავილებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.



ეს ფოტოსურათი გადაღებულია ზუგდიდის ახალ საცხენოსნო სპორტული კომპლექსის იპოდრომზე, რომელიც გუშინ ფიზკულტურელის დღესთან დაკავშირებით საზეიმოდ გაიხსნა.

მალხაზ ფიფიას ფოტო.

ჯილდოები სპარტაკიადაში გამარჯვებულებს

გუშინ, ფიზკულტურელის დღეს, თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა საქართველოს სსრ IX საზაფხულო სპარტაკიადის შედეგების შემაჯამებელი სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკები, მწვრთნელები, გამოჩენილი სპორტსმენები, სპორტის ვეტერანები.

სხდომა გახსნა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ენდელაძემ. მან აღნიშნა, რომ IX საზაფხულო სპარტაკიადა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში, ფინალური შეჯიბრებები ძირითადად ორგანიზებულად ჩატარდა, ზოგიერთ სახპარტაკიადო სახეობაში მაღალი სპორტული შედეგები იქნა ნაჩვენები, მაგრამ სპარტაკიადამ ბევრი ხარვეზიც გამოავლინა.

სხდომაზე უყურადღება გაამახვილეს ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში ჯერ კიდევ არსებულ პრობლემებზე, რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციებისა და უწყებების სამომავლო ამოცანებზე.

ფინალური შეჯიბრებების შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ IX საზაფხულო სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ შ. ქველიაშვილმა.

I, II და III ჯგუფებში გამარჯვებისათვის თასებით, სიგელებით და ვიმპელებით დაჯილდოვდნენ თბილისის, ფოთისა და მცხეთის კოლექტივები. ჯილდოები გადაეცათ აგრეთვე საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს, სპორტის ცალკეულ სახეობებში გამარჯვებულებს.

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

ფიმგლდინის ფინალის გამეორება

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი დავით კაკაბაძე ტელეფონით მოსკოვიდან გვატყობინებს:

საქართველოს ჩოგბურთელ ვალერი გუნდი სასპარტაკიადო ტურნირში V ადგილისთვის იბრძოდა. მისი მეტოქე ამჯერად რუსეთის ფედერაციის ნაკრები იყო. ძლიერად ჩაატარა შეხვედრა ჩვენი გუნდის ლიდერმა ვლადიმერ გაბრიჩიძემ საბჭოთა კავშირის „მეოთხე ოცეულში“ ალექსანდრე ვოლკოვთან. პირველი სეტი ქართველმა სპორტსმენმა მოიგო — 7:5, მეორე — ვოლკოვმა — 6:3. მესამე, გადამწყვეტ სეტში გაბრიჩიძე დაინაურდა — 5:4. მას ორჯერ შეძლო შეხვედრის მოგება, მაგრამ ორივეჯერ ხელიდან გაუშვა მის შესაძლებლობა და ბოლოს დამარცხდა — 6:7.

რუსეთის ფედერაციის გუნდი ანგარიშით 1:0 დაწინაურდა, მაგრამ ორკლი მეტრეველმა მალე გაათანაბრა ანგარიში — დაამარცხა დიმიტრი ბელოვი 7:5, 6:1.

დაძაბულად წარიმართა ვიქტორ ტურდას და ევროპის იუნიორთა ჩემპიონის ანდრეი ჩერკასოვის ორთაბრძოლა. გაიმარჯვა ჩერკასოვმა — 6:0, 2:6, 7:6. ამ კრიტიკულ მომენტში (საქართველოს ჩოგბურთელები ორთაბრძოლას ანგარიშით 1:2 აგებდნენ). აღმოჩნდა, რომ დავიბ კაჭარავას შეეძლო გადამწყვეტი სიტყვის თქმა. პირველი სეტი რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა ვლადიმერ პოტაპენკომ მოიგო — 7:5, მეორეში უპირატესობა კაჭარავას მხარეს იყო — 7:5. ბრძოლის ბედი მესამე სეტს უნდა გადაეწყვიტა. თავიდან პოტაპენკო დაწინაურდა — 3:1, მაგრამ კაჭარავამ თავგანწირული თამაშით ჯერ ანგარიში გაათანაბრა, მერე დაწინაურდა — 5:3. ამ ანგარიშზე ბრძოლა შეწყდა იმის გამო, რომ დაბინდდა და იგი მეორე დღისთვის გადაიდო. თუ კაჭარავა ბრძოლას მოიგებს, ანგარიში გათანაბრდება და მაშინ, გამარჯვებულის გამოსავლენად წყვეტილა შეხვედრა დაინიშნება.

საქართველოს ქალთა გუნდი, როგორც ცნობილია, ბელორუსიის ჩოგბურთელებს III ადგილს ეცილებოდა. ამ კოლექტივების პირველი ნომრების შეხვედრა, ფაქტიურად უიმბლდონის იუნიორთა წლევანდელი ტურნირის ფინალის გამეორება იყო. ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ლეილა მესხი და ნატალია ზვერევა. უიმბლდონში, გახსოვთ

იხ. მე-3 გვ.

ბათუმი. ორ თვეზე მეტი გავიდა, რაც დამთავრდა სპორტული ნაგებობებისა და საცხოვრებელ ადგილებში მარტივი ტაპის სპორტული მოედნების კეთილმოწყობის ერთთვიური. ამ ღონისძიების საპასუხოდ დღეისთვის აჭარის დედაქალაქს 26 ახალი მარტივი სპორტული კომპლექსი შეემატა. ერთი მათგანის საზეიმო გახსნა სწორედ ფიზკულტურელის დღეს მოეწყო. აბაშირის დასახლებაში, რომელსაც შეფობას უწევდა ბათუმის ქიმიური ქარხანა (დირექტორი ბორის ფაილოძე) ახლადგახსნილ სპორტულ ბაზაზე დაიწყო საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების სპარტაკიადა, რომელიც ერთ კვირას გასტანს.

ახალ სპორტულ ბაზებზე ფიზკულტურელის დღეს გაიმართა მასობრივი შეჯიბრებები: „დინამოს“ სტადიონზე იასპარეზეს მძლეოსნებმა, ტყვიის მსროლელებმა, ფეხბურთელებმა, მასობრივი ტურნირები მოეწყო „განთიადის“ საცურაო აუზში, ზღვისპირა პარკის ჩოგბურთის კორტებზე, პიონერთა პარკში...

ლევან ქავჭარაძე,
ოთარ მურვანიძე.

თბილისის თასი

თბილისი „დინამოს“ სტადიონზე გუშინ შედგა ქალაქის საფეხბურთო თასის ფინალური მატჩი. საპატიო პრიზს ერთმანეთს ეცილებოდნენ „შევარდენი“-სი და ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის გუნდი.

მატჩი დამთავრდა ზოოტექნიკური ინსტიტუტის ფეხბურთელთა გამარჯვებით — 2:1 (გუნდის მწვრთნელი ე. გუგუშვილი).

უმაღლესი ლიგა

გუშინ მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩი, ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები „სპარტაკი“ და „ტორპედო“.

თამაში დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით ანგარიშით 4:0.

თანამედროვე ხუთჭიდი

სასწაულები სპორტშიც ხდება, მაგრამ ანატოლი სტაროსტინმა გუშინწინ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თანამედროვე ხუთჭიდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე (ტარდება იტალიის ქალაქ მონტეკატინი-ტერმეში) პირველი სახეობის შემდეგ იგი მხოლოდ მე-13 ადგილზე იყო, მაგრამ ფარიკაობაში პირდაპირ სასწაული მოახდინა, 50 შეხვედრა მოიგო და... პირველ ადგილზე გადაინაცვლა (2089).

ანატოლი სტაროსტინის „რეკორდს“ შეტ-ნაკლებად გამოცდილი უნგრელი ლაიოშ დობი მიუახლოვდა (მოიგო 48 ბრძოლა), მოაგროვა 2041 ქულა და ორი დღის შეჯიბრების შემდეგ მეორე ადგილზე გავიდა.

ქალთა ტურნირში საბჭოთა გუნდის ლიდერი ირინა კისელიოვა დაწინაურდა. სამი სახეობის ჯამში მას 3223 ქულა აქვს. მას კვალდაკვალ, მხოლოდ 12 ქულის სხვაობით მიჰყვება ფრანგი სოფი მორესე. მესამე ადგილზეა ჩინეთის გუნდის წევრი ხუა ჩუანი — 3166.

ერთი ზუსტი სროლის ფასი

კალათბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე თორმეტი კოლექტივი ორ ქვეჯგუფადაა დაყოფილი და წინასწარ შეხვედრებს ვილნიუსსა და მინსკში ატარებს. ჯგუფური ტურნირები 13 აგვისტოს დამთავრდება. ნახევარფინალის საგზურს პირველი ეტაპის ორ-ორი საუკეთესო კოლექტივი მოიპოვებს.

შემდეგ ჩემპიონატი მოსკოვში გადაინაცვლებს და ბინას არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის უნივერსალურ დარბაზში დაიდებს. აქ გადამწყვეტი ბრძოლები ჩატარდება: 15 აგვისტოს ნახევარფინალების მონაწილენი იასპარეზებენ, 16 აგვისტოს ბრინჯაოს, ხოლო 17 აგვისტოს ოქროს მედლების პრეტენდენტები.

საბჭოთა კავშირის განახლებულ ნაკრებს პირველი შეხვედრა ბრაზილიის საკმაოდ ძლიერ გუნდთან ჰქონდა. მძაფრ ბრძოლაში გამარჯვება საბჭოთა კალათბურთელებმა მოიპოვეს — 103:95 (59:50).

ჩემპიონატის პირველ, სასტარტო მატჩში კი ერთმანეთს კანადისა და ბულგარეთის კოლექტივები შეხვდნენ. ბრძოლა აქაც დაძაბული და შეუპოვარი იყო. გამარჯვება კანადელებს ხვდათ 67:63 (36:29). უნგრეთ—ავსტრალიის კალათბურთელთა შეხვედრის ბედი ერთმა ზუსტმა სროლამ გადაწყვიტა. ეს სროლა უნგრელმა სპორტსმენებმა შეასრულეს (79:77) და სატურნირო ცხრილში პირველი ქულა ჩაიწერეს.

10 აგვისტო მშენებლის დღეა

შემკვეთი უნდა ზრუნავდეს პროექტის განხორციელებაზე

10 აგვისტო მშენებლის დღეა. გაზეთი „ლელო“ ულოცავს ამ პროფესიის ადამიანებს დღესასწაულს, უსურვებს ახალ შემოქმედებით წარმატებებს, ჯანმრ თელობას, ახალი სპორტული ობიექტებიც, საცურაო აუზების, კორტებისა და ფეხბურთის მინდვრების შენებას!

დღესასწაულთან დაკავშირებით შევხვდით და ვესაუბრეთ საქართველოს სახმშენის კომიტეტის თავმჯდომარეს გურამ მირიანაშვილს.

⊙ 1,9 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი სპორტული მოედნისათვის — ასეთია ნორმა მიკრორაიონის ერთ სულ მოსახლეზე. ყოველთვის ითვალისწინებენ თუ არა ამას მშენებლები?

— აღსანიშნავია, რომ ეს ფართობი (1,9 კვადრატული მეტრი) გათვალისწინებულია უახლოესი 10 წლისათვის. განვითარების გენერალური გეგმით იგი გაიზრდება და საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე 3,1 კვადრატულ მეტრს შეადგენს. ეს პერიოდი 20-30 წელს მოიცავს.

როგორ გამოვიყენოთ აღნიშნული ფართობი? ყველა მიკრორაიონში გაშენდება სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სათამაშო მოედნები, სპორტული კომპლექსები მოზრდილთათვის; სპორტულ ბაზამდე ფეხით გასავლელი მანძილი 1500 მეტრს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო რაიონულ და საქალაქო კომპლექსებამდე ტრანსპორტის საჭალი — 20 და 30 წუთს.

თბილისის გენერალური გეგმის მიხედვით, ქალაქის სპორტდარბაზების მშენებლობის საერთო გეგმა შესრულებულია, მაგრამ ძველ უბნებში სპორტული მშენებლობის პრაქტიკული შესაძლებლობა არ არის. იქ მცხოვრებთ შეუძლიათ ისარგებლონ რაიონული და საქალაქო სპორტული ობიექტებით, გამოიყენონ მიტოვებული სარდაფები. მაგალითად, კიროვის რაიონში აკოფიანის ქუჩაზე, № 2 სახლის ძველ სარდაფში კრივის დარბაზი მოეწყო.

რესპუბლიკის სხვა ქალაქებში საქმე უფრო ცუდადაა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა გენერალურ გეგმაში სპორტული ბაზების ქსელი გათვალისწინებულია ნორმების მიხედვით, ამ გეგმების მთლიანად რეალიზაცია ადგილზე ყოველთვის არ ხორციელდება. ეს ფაქტი, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივი ხელმძღვანელობის დაუინტერესებლობითა და უგულისყურობით აიხსნება. ავიღოთ ხობის რაიონი, აქ აშენდა მშვენიერი საცურაო-სპორტული კომპლექსი, ღია და დახურული სპორტული მოედნები, კორტები... ასე რომ, იქ, სადაც მონდომებაა, გეგმა სრულდება (და გადაჭარბებითაც).

⊙ ამასთან დაკავშირებით, მოდით, გავიხსენოთ ვარკეთილის ახალი მიკრორაიონი. ჩვენი გაზეთი წერდა ამ მიკრორაიონის სპორტულ მშენებლობაში შენიშნულ ნაკლოვანებებზე. რა კეთდება მდგომარეობის გამოსასწორებლად? ახალი რაიონის — გლდანულას მშენებლობისას ხომ არ განმეორდება მსგავსი შეცდომები?

— მოდით, დავაზუსტოთ, რას გთვლით შეცდომად. არც ერთი მიკრორაიონის მშენებლობის გეგმა არ მიიღება სპორტული ობიექტების გარეშე. ეს იგივეა, დაამტკიცო მიკრორაიონის გეგმა მაღაზიების, სკოლების, საცხოვრებელი სახლების გარეშე! მერწმუნეთ, როდესაც ვარკეთილის საკითხი ჩვენთან წყდებოდა, ყველაფერი რიგზე იყო. შემკვეთი უნდა ზრუნავდეს პროექტის განხორციელებაზე.

ვარკეთილში, სპორტული ბაზების მოწყობაზე, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ უკვე ზრუნავენ.

გლდანულას მიკრორაიონში, რომელიც ახლა შენდება, დაგეგმილია რამდენიმე სპორტული ობიექტი. სახლები აქ პატარა და დიდ სწორკუთხედებად განლაგდება. შიდა ეზოები დახურული იქნება. დიდ ეზოებში გაშენდება კომპლექსური სპორტული მოედნები, სადაც შესაძლებელი იქნება კალათბურთის, ხელბურთისა და მინი-ფეხბურთის თამაში. იქნება სხვა სპორტული დარბაზებიც. სკოლასთან მოეწყობა დიდი საფეხბურთო მოედანიც.

⊙ თბილისის კალინინის რაიონში შემოიღეს საინტერესო სიახლე — აწყობენ სპორტულ დარბაზებს გარაჟების თავზე. როგორ უყურებთ ამ წამოწყებას?

— ძალიან მომწონს! იქ, სადაც რელიეფის გამო მიწისქვეშა ან შეჭრილი გარაჟები შენდება, მათი გამოყენება საბავშვო მოედნებად სავსებით მიზანშეწონილია. კიროვის რაიონში მალე აშენდება ასეთი მოედანი. ვარკეთილის მე-3 და მე-4 მიკრორაიონებში (24 ათასი მცხოვრები) განზრახულია ორი სპორტული მოედნის მოწყობა 50 მანქანისთვის გათვალისწინებული ავტოგარაჟის თავზე.

თქვენმა გაზეთმა დაწვრილებით მოუთხრო მკითხველს გარაჟებზე გაშენებულ სპორტულ ობიექტებზე. გმადლობთ, რომ მშენებლებს ყურადღებას არ გვაკლებთ.

— თქვენც დიდი მადლობა იმ ყურადღებისთვის, რასაც სპორტის მიმართ იჩენთ. ნება მომეცით ერთხელ კიდევ მოგილოცოთ თქვენ და ყველა მშენებელს ეს დღესასწაული.

ესაუბრა პეპი ბოჭორიშვილი.

მესამე ადგილზე

ოთხ აგვისტოს ლვოვში დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ღია ჩემპიონატი წყალბურთში 1970-71 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის. წრიული სისტემით გამართულ შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ ლვოვის, კიევის, მოსკოვის, ალმა-ათის, ერევნის, ყაზანის, ლენინგრადის და თბილისის სპორტსაზოგადოება „დინამოს“ გუნდები. ჩვენმა წყალბურთელებმა მხოლოდ ორი შეხვედრა წააგეს ლვოვისა და კიევის (I-II ადგილებიც ამ თანმიმდევრობით განაწილდა) წყალბურთელებთან და მესამე ადგილი დაიკავეს. შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა თბილისელმა თავდამსხმელმა ზვიად დავითიანმა. იგი საბჭოთა კავშირის ნაკრებში შეიყვანეს.

გუნდი ჩემპიონატისთვის მოამზადა თენგიზ ივანიშვილმა და ვალიკო ბიბილურმა.

ᲒᲘᲜᲓᲝᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲪᲮᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

„ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲘᲡ“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა ამას წინათ იმსჯელა სპორტსაზოგადოების სისტემაში შემავალ საფეხბურთო კოლექტივებში წესრიგის უხეში დარღვევების ფაქტებზე და ღონისძიებანი დასახა რესპუბლიკურ გათამაშებებში მონაწილე გუნდებში დისციპლინის დასამყარებლად.

ფეხბურთი დიდი პოპულარობით სარგებლობს საქართველოს სოფლის სპორტსმენთა შორის, იგი კულტივირებულია 1566 ფიზკულტურულ კოლექტივში, მომეცადინეთა რიცხვი 37 ათასს სჭარბობს, სპორტსაზოგადოებას ჰყავს I ლიგის საკავშირო გათამაშებაში მონაწილე ძლიერი გუნდი ლანჩხუთის „გურიის“, რესპუბლიკური პირველობის ორივე ლიგაში „კოლმეურნის“ 30-მდე გუნდი გამოდის.

მაგრამ ასეთი დიდი „საფეხბურთო მეურნეობა“ ასეთივე დიდ ყურადღებას საჭიროებს და პრეზიდიუმის სხდომაზეც სწორედ დისციპლინაზე იყო მსჯელობა. დაუფარავად ითქვა, რომ „კოლმეურნის“ ბევრ გუნდში დაბალ დონეზეა პოლიტმზრდელობითი მუშაობა, ჯეროვნად არ მიმდინარეობს სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობა, რის გამოც ფეხბურთელთა ტექნიკური მომზადების ხარისხი ვერ პასუხობს სადღეისოდ გაზრდილ მოთხოვნებს. აშკარად არასაკმარისია გუნდებში მომუშავე მწვრთნელთა კვალიფიკაცია, ბევრი შთაგანი თვითონაც უდისციპლინოდ იქცევა და არც ფეხბურთელთა უხეშობის, თავნებობის აღსაკვეთად იბრძვის. ასეთები ერთთავად იმას ცდილობენ, თავიანთი უნიათობა, სუსტი მუშაობა მსაჯებს გადააბრალონ. ბევრგან გუნდებს ვერ აკომპლექტებენ საკუთარ რაიონში, ქალაქში აღზრდილი ფეხბურთელებით, მწვრთნელები კი ერთთავად იმას ცდილობენ, უცხოები გადაიბირონ და მიწვეული, ხშირად ასაკოვანი მოთამაშეებით გაართვან თავი სიძნელეებს.

მაგალითად, სოფელ მარტყოფის „აკრიანი“, რომელიც რესპუბლიკური პირველობის II ლიგის აღმოსავლეთ ზონაში გამოდის, ერთერთ მატჩზე მხოლოდ 6 ფეხბურთელის შემადგენლობით გამოცხადა, ამის გამო თამაში არ შედგა და გუნდს დამარცხება ჩაეთვალა.

ახალქალაქის „აბულის“ ფეხბურთელებმა თვითნებურად დატოვეს მინდორი რესპუბლიკური გათამაშების კალენდარული მატჩის დამთავრებამდე და ჩაშალეს თამაში. სერიოზული ინციდენტები მოხდა გალის, წულუკიძისა და სხვა სტადიონებზე.

სპორტსაზოგადოების საფეხბურთო გუნდებში არ კლებულობს უდისციპლინობა, უხეშობა, მსაჯებთან კინკლაობა და სხვა დარღვევები. რესპუბლიკური გათამაშების პირველ წრეში წალენჯიხის „სქურის“ ფეხბურთელები რვაჯერ გააფრთხილეს, ყვარლის „დურუჯის“ და გეგეჭკორის „სალხინოსი“ — ხუთხუთჯერ, მრავლადაა დარღვევები ჩხოროწყუს „სამეგრელოში“, ასპინძის „ვარძიაში“, წულუკიძის „იმერეთში“, ქობულეთის „ნარინჯში“, ზუგდიდის „ოდიშში“, ხაშურის „დვაბზუში“, გონიოს „ნარინჯში“ და ა. შ.

ყველაფერი ეს ასეა, და მით უფრო გასაკვირია ის, რომ სპორტსაზოგადოების ადგილობრივი საბჭოების თავმჯდომარეები, გუნდების ხელმძღვანელები ამგვარი აღმაშფოთებელი დარღვევების მიმართ სრულ შემწყნარებლობასა და გულგრილობას იჩენენ, ზოგჯერ თვითონაც ხელს უწყობენ უდისციპლინობას.

სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა საოლქო, საქალაქო და სარაიონო საბჭოების თავმჯდომარეებს დაავალა მკაცრი ღონისძიებები გაატარონ საფეხბურთო კოლექტივებში წესრიგის დაცვისა და დისციპლინის განმტკიცებისთვის, სათანადო პირობები შეუქმნან გუნდებს ნორმალური სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობისთვის, საქართველოს სსრ სახელმწიფო სპორტკომიტეტის 5 ივლისის რესპუბლიკური აქტივის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გასატარებლად. „კოლმეურნის“ საფეხბურთო კოლექტივებში საჭიროა სრული წესრიგი დამყარდეს, მკაცრად უნდა დაისჯოს ის, ვინც უდიერად არცხვენს საბჭოთა სპორტსმენის სახელს.

ყოველი კალენდარული მატჩის მომზადებისა და ჩატარების ორგანიზაციის პასუხისმგებლობა დაევალათ პირადად ადგილობრივი საბჭოების თავმჯდომარეებს, სპორტული ბაზების ხელმძღვანელებს. მათ რადიკალურ ღონისძიებებს უნდა მიმართონ თავიანთ გუნდებში ახალგაზრდა ფეხბურთელთა მასობრივი დაწინაურებისთვის.

ცნობად იქნა მიღებული, რომ ახალქალაქის „აბულის“ ფეხბურთელთა უღირსი საქციელი განიხილა საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ, გაათავისუფლა გუნდის მწვრთნელი ა. სუქიასიანი, მკაცრად გააფრთხილა მთელი საფეხბურთო კოლექტივი, რომელიც პირობით დატოვა რესპუბლიკურ გათამაშებაში.

სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ გარდაბნის (თავმჯდომარე ჯ. გაბელაია), ახალქალაქის (რ. გადელიანი), გალის (შ. ჩხეტიანი), წალენჯიხის (ვ. ეგია), ყვარლის (თ. წიწრიაშვილი), გეგეჭკორის (გ. ჭილაია), ჩხოროწყუს (ა. ბერია) რაისაბჭოების ხელმძღვანელებს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური, ხოლო ასპინძის, წულუკიძის, ქობულეთის, გორის, ცხინვალის, ზუგდიდისა და მახარაძის რაისაბჭოების თავმჯდომარეებს ვ. აფციაურს, ე. კაკაურიძეს, გ. სიორიძეს, ა. ჭურთაულს, თ. მინდიაშვილს, შ. ჩანგელიას და ა. ჩხაიძეს გამოეცხადათ საყვედური. გარდა ამისა, ისინი გააფრთხილეს, რომ მსგავს დარღვევათა გამეორების შემთხვევაში მათ მიმართ უფრო მკაცრ ზომებს მიიღებენ.

მკითხველი — გაზეთი

● პატივცემულო რედაქცია! ბოლო დროს სავაჭრო ქსელში გამოჩნდა სხვადასხვა სახის ტრენაჟორი ფიზკულტურაში დამოუკიდებლად მომეცადინეობათვის, მაგრამ არ ვიცით კონკრეტულად რა სახის ვარჯიშებისთვის არიან განკუთვნილი ისინი და როგორ უნდა წარიმართოს მეცადინეობა. იქნებ ამის გარკვევაში თქვენ დაგვეხმაროთ?

ნუგზარ ჯიქია.

— ნებისმიერი ფიზიკური დატვირთვა, მათ შორის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, გარკვეულ სისტემას და ვარჯიშთა აგების პრინციპებს ემორჩილება. ტრენაჟორის დანიშნულებაა მომეცადინე უფრო ძლიერი, მოქნილი და გამძლე გახადოს, მაგრამ ამისთვის საჭიროა მეთოდურად სწორი და სასარგებლო ვარჯიშების შერჩევა.

ტრენაჟორი, უპირველეს ყოვლისა, თქვენს მიერ ამორჩეულ პროგრამას უნდა შეესაბამებოდეს — თქვენი ყოველდღიური მოღვაწეობის პროფილს უნდა განსაზღვრავდეს. როცა მუშაობის დროს ფიზიკურად ვიძაბებით, კუნთურ დატვირთვებსა და ძალისმიერ ვარჯიშებს უნდა ვერიდოთ. ამ დროს უფრო ეფექტურია ე. წ. დინამიკური ვარჯიშები, ტემპის სათანადო მონაცვლეობით.

მას, ვინც დღის განმავლობაში ნაკლებად მოძრაობს, ისეთი ტრენაჟორები სჭირდება, რომლებიც მუცლისა და ზურგის კუნთებს ანვითარებს, ქვედა კიდურებში სისხლის ნორმალურ მიმოქცევას უწყობს ხელს.

ტრენაჟორებზე ვარჯიში სასურველ ეფექტს იძლევა მაშინ, როცა მოძრაობა მრავალფეროვანია. მონოტონური ილეთების ხშირი გამეორება მომეცადინეს ვარჯიშის სურვილს უქრობს.

სხვათა შორის, ვარჯიშთა შესაფერისი კომპლექსები თვითონვე შეგვიძლია გამოვიგონოთ. აქ მხოლოდ ერთი რამ არის მთავარი — ეს კომპლექსები საერთო ფიზიკური განვითარებისთვის საჭირო ელემენტებსა და სუნთქვით ვარჯიშებს უნდა შეიცავდეს.

ტრენაჟორებზე მეცადინეობა უფრო მეტ ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვს, ვიდრე ჩვეულებრივი, ე. წ. უსაგნო ვარჯიში. ამიტომ უფრო მარტივიდან რთულ ელემენტებზე გადასვლა ეტაპობრივად, ნელ-ნელა და დაკვირვებულად უნდა ხდებოდეს. პროფილის ერთბაშად შეცვლა ორგანიზმისთვის შეიძლება საზიანოც კი გამოდგეს, თუ, რა თქმა უნდა, ეს ორგანიზმი რთული დატვირთვებისთვის წინასწარ არ არის შემზადებული.

მოვარჯიშემ კარგად უნდა იცოდეს, რომ ტრენაჟორებზე ვარჯიში სამ ძირითად ფაზას შეიცავს: მოსამზადებელს, ძირითადს და დამამთავრებელს. მოსამზადებელ ფაზაში ვარჯიშები უფრო ზოგადია და მსუბუქი, ძირითადში — მაქსიმალურად დატვირთული, დამამთავრებელი ფაზა კი ფაქტიურად წინ უსწრებს ორგანიზმის ნორმალურ მდგომარეობაში გადასვლას. ვარჯიშის პროცესში სამივე ფაზას, ცხადია, ერთნაირი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ვარჯიშის მთავარი კომპონენტები მაინც ძირითად ფაზაშია თავმოყრილი. ორგანიზმის გამოწრთობა, მისი გაკაჟება და ფიზიკური ჩვევების სრულყოფა სწორედ ამ დროს ხდება.

ერთი მეცადინეობის ხანგრძლივობა დატვირთვების დონითა და ენერგიის ხარჯვით განისაზღვრება (რისი შემოწმებაც ძნელი არ არის), მაგრამ იგი 30 წუთზე ნაკლები არ უნდა იყოს (დროის ამ მონაკვეთში, ცხადია, გარკვეული შესვენებებიც შედის).

ტრენაჟორებით ვარჯიშის მიზანია გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციონალურ შესაძლებლობათა განვითარება. ამიტომ დატვირთვის კონტროლი პულსის ხშირი შემოწმებით ხდება. მაძაკაცებისთვის ნორმალურ პულსად ითვლება: დგომში — 78 დარტყმა, ჯდომის დროს — 70, წოლით მდგომარეობაში — 65. ქალებისთვის: დგომში 80-82 დარტყმა, ჯდომის დროს — 75, წოლით მდგომარეობაში — 70. წუთში 90 დარტყმა აჩქარებულ პულსად ითვლება, 40-42 დარტყმა კი გადაღლას, გულის ან სისხლძარღვთა დაავადებას მოასწავებს.

კონსულტაცია

ვარჯიშის ხარისხი რომ უფრო ეფექტურად შემოწმდეს, მომეცადინე ხუთი წუთის განმავლობაში მშვიდად უნდა იწვეს ზურგზე და პულსი მხოლოდ ამის შემდეგ გაიზომოს. იგივე უნდა განმეორდეს ერთი წუთის შემდეგ, ოღონდ უკვე დგომში.

საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი

ისტორია მეორდება? დააკვირდით გვარებს...

5 აგვისტოს ქუთაისში, მწერალთა სახლის საქმო დარბაზში სამეჭადრაკო ვითარებაში გაიხსნა მოჭადრაკე ქალთა 46-ე საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი. მონაწილეებს მიესალმნენ და წარმატებები უსურვეს ჭადრაკის საქალაქო ფედერაციის თავმჯდომარემ, ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგემ ზურაბ მელქაძემ, კავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა გიორგი ომედაძემ, ოსტატობის კანდიდატმა ნინო ხალაძემ და სხვებმა. კოლეგებს მიესალმა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე. სხვათა შორის, მაია პირველად ეწვია მისი სახელობის საჭადრაკო კლუბს ვაკის რაიონში და აღნიშნა, რომ მსგავსი საჭადრაკო კლუბი არსად თუ რესპუბლიკაში, მთელ საბჭოთა კავშირშიც არ მოიძებნება.

მეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა, დიდოსტატმა ოლგა იგნატოვამ (მოსკოვი) დამსწრეთ შეჯიბრების მონაწილეები წარუდგინა და შეჯიბრების რეგლამენტი გააცნო.

ტურნირი 24 აგვისტომდე გასტანს, შეხვედრები გაიმართება ყოველდღე, ყოველი ოთხი ტურის შემდეგ მოჭადრაკეები დაამთავრებენ გადადებულ პარტიებს. 16 აგვისტოს მონაწილენი დაისვენებენ. შეგახსენებთ, რომ ნახევარფინალურ ტურნირში საპრიზო ადგილებზე გასული სამი მოჭადრაკე სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლებას მიიღებს.

მოეწყო კენჭისყრა. აი, მისი შედეგები: 1. ფლორა უსკოვა (საერთაშორისო ოსტატი; აღმა-ათა), 2. მზია წერეთელი (ოსტატი; მახარაძე), 3. ლოლა ნასიროვა (ოსტატობის კანდიდატი; დუშანბე), 4. ირინა კულიში (ოსტატობის კანდიდატი; კრასნოიარსკი), 5. ქეთევან მელაშვილი (ოსტატი; თბილისი), 6. ელენა ფათალიბეკოვა (საერთაშორისო დიდოსტატი; მოსკოვი), 7. ჰენრიეტა ლაგვილავა (ოსტატი; ქუთაისი), 8. ირინა ბოტვინიკი (ოსტატობის კანდიდატი; მინსკი), 9. ოლგა ლომკინა (ოსტატობის კანდიდატი; მინსკი), 10. დიანა ეშჩენკო (ოსტატობის კანდიდატი; ვლადივოსტოკი), 11. გალინა სტრუტინსკაია (ოსტატი; მოსკოვი), 12. ელენა სედინა (ოსტატი; კიევი), 13. ქეთევან არახამია (საერთაშორისო ოსტატი; თბილისი), 14. ნატალია ალიოხინა (საერთაშორისო ოსტატი; მოსკოვის ოლქი).

I ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა: წერეთელი — არახამია 1:0, სედინა — ნასიროვა 1:0, დანარჩენი პარტიები გადაიდო. ლაგვილავას უპირატესობა აქვს ბოტვინიკთან, მელაშვილს — ეშჩენკოსთან. არ შედგა უსკოვა—ალიოხინას პარტია. იგი 10 გვისტოს გაიმართება.

II ტური: არახამია — ნასიროვა 1:0 (შამათი), ლაგვილავა — ლომკინა 1:0, უსკოვა — წერეთელი 1:0, ალიოხინა —ბოტვინიკი (დაკვირდით გვარებს!) 1:0, ეშჩენკო — ფათალიბეკოვა 0,5:0,5. ორი პარტია გადაიდო. მწვავე პოზიციაში შეწყდა მელაშვილ — სტრუტინსკაიას შეხვედრა.

III ტური: წერეთელი — ალიოხინა 0,5:0,5, ნასიროვა — უსკოვა 0:1, ფათალიბეკოვა — სტრუტინსკაია 0,5:0,5, ლაგვილავა — ეშჩენკო 0,5:0,5, ბოტვინიკი — ლომაკინა 1:0. არახამიამ, რომელიც შავი ფიგურებით თამაშობდა, მოსაგებ პოზიციაში გადადო პარტია კულიშთან, ყაიმის მისაღწევად მელაშვილს მძიმე ბრძოლა გადახდება სედინასთან.

ამრიგად, 3 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ: უსკოვა — 2 ქულა და 1 გამოტოვებული პარტია, ლაგვილავა, ალიოხინა — 1,5-1,5 (1-1), წერეთელი — 1,5. არახამიას ერთი ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, მელაშვილმა სამივე პარტია გადადო.

თამაზ ხარაბაძე,
„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი.



მიმდინარეობს პირველი ტურის პარტიები.
გ. გერსამიას ფოტო (საქინფორმი).

...ჩემპიონის ფინალის გამეორება

(დასასრული)

...ბათ, წარმატებას ზვერევამ მი...ია. მესხმა ამჯერად რევანში აი..., თანაც ერთობ ძლერი მეტო... ორ პარტიაში დაამარცხა — ... 6:1.

...ენ გუნდს მეორე ქულა ირი...მალაციძემ მოუტანა (სხვათა ...ის, მას სასპარტაკიადო შეჯი...ებში არც ერთი ბრძოლა არ ...გია). ირინამ ამჯერად ელა შო...ორენკოს დააყრევინა ფარ-ხმა... — 6:4, 6:3.

...მდევნო ორი ბრძოლა ბელო...სელმა ჩოგბურთელებმა მოი... ალა ფომინიჩკმა ირინე გე... დაამარცხა (6:4, 6:4), ელენე ...შკომ კი — ეკა ბოკუჩავა (4:6, 6:1). ანგარიში, როგორც ხე..., აქაც თანაბარია (2:2) და გა...ვებულს წყვილთა შეხვედრა ...ავალენს.

...ალა რამდენიმე სიტყვა ფინალი...ებზე — ვაჟთა შორის პირველი ...ელისთვის უკრაინისა და მოს...ის კოლექტივები იბრძოდნენ. ...ჯერ უკრაინელებმა მოიპო...—3:1. ჩესნოკოვმა (მოსკოვი) და...რცხა დოლგოპოლოვი — 6:3, ...კროჩკომ (უკრაინა) — ოლ...სკი—6:1, 0:6, 6:2, პოლიაკოვმა ...რაინა) — ლიმანოვი—6:4, 6:1, ...რუშენკოვმა (უკრაინა) — ბა...ლევა — 4:6, 6:0, 6:2.

მესამე ადგილზე გავიდნენ ლატვიელი ჩოგბურთელები, რომლებმაც ესტონელებს ანგობეს — 3:1.

ქალთა ტურნირის ფინალური შეხვედრები გუშინ დამთავრდა.

ელვა-ინფორმაცია

დამთავრდა ჩოგბურთელთა გუნდური ტურნირი. დვით კაჭარავამ მეორე დღისთვის გადადებული ბრძოლა ვლადიმერ პოტაპენკოს (რსფსრ) მოუგო—5:7, 7:5, 6:3. გამარჯვებული გუნდის გამოსავლენად დაინიშნა წყვილთა დამატებითი შეხვედრა. ვოლკოვ — ჩერკასოვის დუეტმა ანგობა გაბრიჩიძე — კაჭარავას წყვილს — 4:3, 6:4, 6:1. ვაჟთა გუნდურ შეჯიბრებაში რსფსრ-ს ნაკრებმა V ადგილი დაიკავა, საქართველომ — VI.

ბელორუსიის ქალთა წყვილმა (ზვერევა — შინკორენკო) დაამარცხა ჩვენი რესპუბლიკის დუეტი (მესხი—მალაციძე)—6:4, 7:6 და გუნდურ ჩათვლაში III ადგილი დაიკავა. საქართველოს ჩოგბურთელებს წილად ხვდათ IV ადგილი. გამარჯვება ქალთა შორის კი უკრაინელებმა მოიპოვეს — მოსკოვის ძლიერი გუნდი დაამარცხეს — 3:2.

დღეს პირადი შეჯიბრებები დაიწყო.

ყოველთვის ხალხმრავლობაა თბილისის ზღვის კულტურისა და დასვენების პარკში, სადაც ხშირად ეწყობა მასობრივი სპორტული შეჯიბრებები მინი-ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ჰანდბოლსა და მაგიდის ჩოგბურთში. ახლახან აქ გამართულ ასპარეზობაში რკინიგზელებთან ერთად ხავაჭრო ორგანიზაციების მუშაკებიც მონაწილეობდნენ. ხულო ბადმინტონის ველზე გამოვიდა 600-მდე სპორტის მოყვარული. სპორტსაზოგადოების „ლოკომოტივის“ საგზაო სამმართველოს, ოქტომბრის რაიონის ფიზკულტურულ-სპორტულმა კომპლექსმა და თბილისის ზღვის პარკის დირექციამ ერთობლივად გაართვეს ხაქმეს თავი — შეჯიბრებები საინტერესოდ, ორგანიზებულად ჩატარდა.

„ლელოს“ ფოტოკორესპონდენტის ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოებზე სწორედ აქ გამართული შეჯიბრებების მონაწილეებს ხედავთ.

პრეზიდენტი ბრაზილ სდებს...

ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციამ თავის ერთ-ერთ სხდომაზე განიხილა საკითხი ქვეყნის ნაკრები გუნდის წინაშე მდგარი პრობლემების შესახებ. ცხადია, ყურადღების ცენტრში მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის შედეგები იყო. სხდომამ სპეციალისტებისა და პრესის დიდი ინტერესი გამოიწვია იმის გამო, რომ მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟ. აველანჟმა.

ფიფა-ს პრეზიდენტის აზრით, ბრაზილიამ საფუძვლიანად უნდა გადასინჯოს თავისი დამოკიდებულება ფეხბურთთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ქვეყნის გუნდი მსოფლიო ჩემპიონი ვეღარასოდეს გახდება.

აველანჟმა მკაცრად გააკრიტიკა ბრაზილიაში დამკვიდრებული პრაქტიკა — როცა ნაკრებს ფაქტიურად ერთ დღე-ღამეში აკოწიწებენ. არადა, კონფედერაციამ უკანასკნელი მსოფლიო ჩემპიონატისთვის გუნდი სწორედ ასეთ სარეკორდო დროში შეადგინა, რამაც, ბუნებრივია, მთელი რიგი შეცდომები გამოიწვია. აველანჟის აზრით შეცდომა ხყო ნაკრებში ზიკოს, სოკრატესის, სერეზოსა და ფალკაოს შეყვანა, უფრო სწორედ იმ ფეხბურთელებისა, რომლებსაც ჯერ ერთი კრიტიკული ასაკი ჰქონდათ (30 წელზე მეტი) და მეორეც ფიზიკურად ასეთი დიდი დატვირთვისათვის არ იყვნენ მზად.

მაგრამ სხვა გამომსვლელებისგან განსხვავებით, რომლებიც უმთავრესად ნაკრებისა და საერთოდ ბრაზილიური ფეხბურთის კრიტიკით იფარგლებოდნენ, აველანჟმა რამდენიმე კონსტრუქციული წინადადება წამოაყენა. მისი აზრით, მომავალში ბრაზილიის ყოველ შტატში უნდა შეიქმნას ნაკრები გუნდი, რომელსაც ექნება გეგმით გათვალისწინებული ამხანაგური შეხვედრები როგორც შინ (ერთმანეთში), ისე გარეთ — მეზობელი ქვეყნების გუნდებთან. 26 ასეთი ნაკრები და მაშასადამე 300 რჩეული ფეხბურთელი — აი, ბაზა, რომლის საფუძველზეც, პრეზიდენტის აზრით, ნაკრები გუნდი უნდა დაკომპლექტდეს. მაშინ არც მწვრთნელი აღმოჩნდება გამოუვალ მდგომარეობაში და არც კონფედერაცია.

პრეზიდენტმა სასაცილო და ყოვლად უსაფუძვლო უწოდა ბრაზილიაში ფართოდ გავრცელებულ აზრს, თითქოს ამ ქვეყნის ნაკრები მატჩისშემდგომი პენალტების სერიის მსხვერპლი გახდა.

— გაკვირვებული ვარ, რატომ აღმოჩნდა ეს წესი ახალი მხოლოდ ბრაზილიელებისთვის, რატომ ასრულებდნენ მატჩის შემდგომ 11-მეტრიან დარტყმებს უკეთესად ფრანგები ან სხვა ქვეყნის წარმომადგენლები? საქმე ისაა, რომ როგორც კი ბრაზილიელები მეტოქის მხრიდან სერიოზულ (და ალბათ მოულოდნელ) წინააღმდეგობას წააწყდნენ, მაშინვე არარსებული მიზეზების ძებნას შეუდგნენ.

აველანჟის აზრით, „ბრაზილიამ მარცხი მექსიკაში საკუთარი შეცდომების გამო განიცადა“. შემდეგ პრეზიდენტმა პასუხები გასცა ჟურნალისტთა შეკითხვებს და აღნიშნა, რომ მსოფლიო ჩემპიონატი მექსიკაში კარგად ჩატარდა. აველანჟმა კატეგორიულად უარყო ელექტრონულ საშუალებათა გამოყენების ცდა მსაჯობაში. მისი აზრით, საეჭვო სიტუაციაში ტექნიკის გამოყენება კიდევ უფრო მეტად არევს საქმეს და არავითარ სარგებლობას არ მოიტანს.

თავსატეხი ყველას ბევრი აქვს

მიუხედავად იმისა, რომ ტელე სანტანა უკვე ჩამოსცილდა ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებს, ჟურნალისტების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია მოქცეული და იძულებულია მათ შეკითხვებს პასუხი გასცეს. ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში მან სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ მექსიკაში არ თამაშობდნენ ჰოლანდიის, იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. თანამედროვე ფეხბურთის ამ გრანდების გარეშე მსოფლიო ჩემპიონატი, მისი აზრით, არ იყო სრულყოფილი.

საბჭოთა კავშირმა,—თქვა მან. — მექსიკაში თავისი საუკეთესო თამაში აჩვენა და რა თქმა უნდა, მეტის ღირსი იყო. სანტანას მოეწონა აგრეთვე დანიისა და საფრანგეთის გუნდები. სამხრეთამერიკელთაგან ბრაზილიელი მწვრთნელი უპირატესობას, პირველ რიგში, არგენტინისა და თავისი ქვეყნის გუნდს ანიჭებს.

საერთოდ მექსიკის ჩემპიონატის პირველი ეტაპი სანტანას უფრო რულად მოეჩვენა. ჯგუფური ტურნირების მსვლელობაში ყველა გუნდი შემდგომ ეტაპზე გასვლაზე ოცნებობდა და ფრთხილად თამაშობდა. ნამდვილი ჩემპიონატი მერვედფინალის შემდეგ დაიწყო. სანტანა ღრმად არის დარწმუნებული, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფორმულა უნდა შეიცვალოს, ან თუ არ შეიცვლება, გამარტივდეს მაინც. „მსოფლიო ჩემპიონატი მათემატიკურ თავსატეხად არ უნდა ვაქციოთ, თავსატეხი მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს ასეთ ტურნირებში ისედაც ბევრი აქვთ და დამატებითი მანიპულაციები ზიანის მეტს არაფერს მოგვიტანს“.

„ტემპო არხენტინო“ ასე შიქრობს

გაზეთმა „ტემპო არხენტინომ“ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ტექნიკური დონე დადებითად შეაფასა. მისი აზრით, ტურნირი ორ ეტაპად შეიძლებოდა დაგვეყო. პირველი ეტაპის მატჩებში უძლიერესნი უდავოდ საბჭოთა კავშირისა და დანიის გუნდები იყვნენ, მეორე ეტაპზე კი წინა პლანზე ბრაზილიამ, საფრანგეთმა, ესპანეთმა და არგენტინამ გადმოინაცვლეს.

და მაინც, მიმომხილველის აზრით, ბრაზილიის და ჰოლანდიის წინანდელ გუნდებს მექსიკის ჩემპიონატის ვერც ერთი მონაწილე ვერ შეედრებოდა. შეიძლებოდა მათთვის დანიელები მიგვემსგავსებინა, მაგრამ მათ ბევრი ძლიერი მეტოქე ჰყავდათ და ამის გამო თავიანთი შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინეს. გაზეთი განსაკუთრებით უსვამს ხაზს საბჭო-

მსოფლიო ჩემპიონატის ექო

ნაკრების თამაშს, რომელიც ამ ჩემპიონატის ერთ-ერთი მოულოდნელობა იყო.

არგენტინელთა თამაშს, მხედველობაში თუ არ მივიღებთ მარადონას, ბრწყინვალეს ვერ ვუწოდებთ. — აღნიშნავს გაზეთი, — მან ახალი ვერაფერი თქვა ტაქტიკაში და შეხვედრებს მხოლოდ იმიტომ იგებდა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავის მეტოქეზე უფრო ძლიერი იყო.

გფრ-ის ნაკრებმა, „ტემპო არხენტინოს“ აზრით, თავისი სიტყვა ვერც ერთ ეტაპზე ვერ თქვა, თუმცა საბოლოო შედეგი კარგი ჰქონდა. პირველხარისხოვან გუნდად იგი მხოლოდ ორჯერ მოგვევლინა — ერთხელ ფრანგებთან შეხვედრაში და მეორედ მაშინ, როცა არგენტინელებს ორი ბურთი გაუქვითა.

ახალი მწვრთნელი

უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების ახალი მწვრთნელი დანიშნა. ამიერიდან ეროვნულ გუნდს ბუდაპეშტის „ჰონვედის“ მწვრთნელი იმრე კომორა უხელმძღვანელებს.

„ნეპშპორტის“ კორესპონდენტთან საუბარში კომორამ განაცხადა: „ჩემი მიზანია ყველასთან საქმიანი და კოლექტიური ურთიერთობა დავამყარო, უნგრეთის გუნდი კარგი ხელმძღვანელის ხელში ძლიერი კოლექტივი დადგება. ამაში ჩვენ, სხვათა შორის, ბოლო მსოფლიო ჩემპიონატმაც დაგვარწმუნა. ბევრი მეკითხება, მზად ვარ თუ არა ჩავარდნისათვის. უნდა გამოგიტყდეთ — უცნაური შეკითხვაა. მე რომ უნგრული ფეხბურთისა არ მჯეროდეს, მწვრთნელის პოსტს არც ჩავიბარებდი“.

კომორამ უკვე შეადგინა გრძელვადიანი სამზადისის დეტალური გეგმა და იგი განსახილველად ფედერაციას წარუდგინა.

ჩვენს ქვეყანაში „50-იანი წლების ბოლოდან რეგბის განვითარება დაკავშირებულია ბ. ეგუპავის, გ. მრელაშვილის, პ. სოროკინისა და სხვათა სახელთან“ — ვკითხულობთ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მე-8 ტომში. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, საკავშირო კატეგორიის მსაჯის, ამჟამად სსრ კავშირის მშენებლის მცხეთის განყოფილების მთავარი ინჟინერის გივი მრელაშვილის თაოსნობით შეიქმნა რეგბის პირველი გუნდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სპორტსაზოგადოება „განთიადსა“ და „სპარტაკში“, 1961 წელს შექმნილი თბილისის რეგბის ფედერაციის პირველი თავმჯდომარეც ის იყო. ჩვენში ამ თამაშის განვითარებას სწორედ ქალაქის რეგბის ფედერაციის საქმიანობამ მისცა დასაბამი. ასე რომ, 1986 წელი ერთგვარად ხაიუბილეოა ქართული რეგბისთვის და, ბატონ გივზე უკეთესად ვინ გაიხსენებდა იმას, თუ როგორ „აიდგა ფეხი“ ქართულმა რეგბიმ.

ქართული რეგბის ხანმოკლე ბიოგრაფიას თუ გადავხედავთ, გაგვიძნელდება თუნდაც ერთი ისეთი მოვლენის წარმოჩენა, მნიშვნელობით სხვებს რომ აღემატებოდეს.

მაინც რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენი რეგბის განვითარების გზაზე? 1947 წელს თბილისში გამართული საქალაქთაშორისო ტურნირი თუ რეგბის ენთუზიასტების 1961 წლის „დამფუძნებელი კრება“, რომელშაც დასაბამი მისცა ამ თამაშის განვითარებას ჩვენს ქალაქში? იქნებ ომისშემდგომი პირველი ჩემპიონატი (1966 წელს), როცა თბილისელმა დინამოელებმა ცოტა დააკლდათ ქვეყნის ჩემპიონის ტიტული (მერე და მერე ასე მიუწვდომელი რომ გახდა) არ მოიპოვეს? ან იქნებ 1967 წელს გურჯაანში გამართული პირველი საერთაშორისო შეხვედრა ფრანგების გამოცდილ და ძლიერ გუნდთან, რომელსაც თბილისის „ლოკომოტივმა“ შედგარი წინააღმდეგობა გაუწია? არც იმავე წელს დინამოელებს საზღვარგარეთ პირველი გამგზავრებაა დასავიწყებელი და არც „ლოკომოტივის“ მიერ 1978 წელს მოპოვებული საკავშირო თასი, არც ის, 1976 წელს ევროპის ჩემპიონატზე ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან შეხვედრაში ქართველმა რეგბისტმა თამაზ მგელაძემ ოფიციალურ მატჩებში საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის ანგარიში რომ გახსნა.

მაგრამ ასეთი ამბების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, ამიტომ, მოდით, დღეს ის გავიხსენოთ, რაზეც თავის დროზეც ცოტა ითქვა, რაც თითქოს შეუნიშნავი დარჩა და რაც „ყოველისმცოდნე“ სტატისტიკას არ აღუნუსხავს.

დიახ, ყველაფერი ამ თამაშისადმი სიყვარულით და ერთგულებით დაიწყო. საქმარისი იყო ბიჭებისთვის რეგბი გეხსენებინათ, ანთებული თვალები უმალ მიგახვედრებდათ, რომ მათთვის ეს იყო იმგვარი რამ, რისთვისაც თავს გაწირავდნენ. ახლა იქნებ გეუცხოოთ კიდეც ასეთი ემოციები. მაგრამ რეგბის პიონერები სხვა ხალხი იყო, ისინი რეგბიზე ფიქრში ათენ-აღამებდნენ.

მოგეხსენებათ, ყველა სიახლე გზას ძნელად იკაფავს და რეგბი გამონაკლისი ხომ არ იქნებოდა? ამ თამაშის დანერგვა-განვითარება ისედაც ძნელი იყო: რეგბისტთა გუნდი ყველაზე მრავალრიცხოვანია სპორტულ თამაშებში, ბურთი და სპორტინვენტარიც საგანგებო სჭირდება. არც მოედნის ზომით აღება, შეკრებებზე და შეჯიბრებებზე გუნდის გაგზავნაა იოლი საქმე, ხარჯსაც სხვებზე მეტს მოითხოვს. სპორტული და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელები კი თავს არ იწუხებდნენ, ასე რომ ახლადფეხადგმულ სახეობას ხელის შემშველებლის ნაცვლად ხელის შემშლელი უფრო მეტი გამოუჩნდა. ჯერ თამაშის სიმკაცრით დააშინეს ყველა, მერე მოიმიზეზეს, მოედნებს გაუხრებსო, მერე ბრალიც დაგვდეს: რეგბისტები სპორტის სხვა სახეობებიდან იბირებენ მოთამაშეებსო.

ჩვენც რა გვექნა, იქით ვეკამათებოდით და ვუმტკიცებდით, რეგბი ბევრ ფიცხ ახალგაზრდას ჩამოაშორებს ქუჩას, ბევრს გააჯანსაღებს ფიზიკურად და სულიერადო.

საკვირველი კი იყო: თბილისში პირველი საქალაქთაშორისო ტურნირი უკვე ჩატარებული იყო და მაინც რაღა რეგბი და რაღა ჩინური. სხვა რა გზა გვქონდა, ყველაფერი თავიდან უნდა დაგვეწყო და ჩვენც „ხალხში გავედით“.

სხვადასხვა ორგანიზაციებსა დ: უმაღლეს სასწავლებლებში თვალსაჩინო ადგილას განცხადებას ვაკრავდით. ათი წამკითხველიდან ცხრას არაფერი სმენოდა რეგბიზე. ახალგაზრდებს რა გაემტყუნებოდათ, როცა ერთი დიდი ორგანიზაციის ხანდაზმულმა და პატივსაცემმა ხელმძღვანელმა რეგბი ვოკალურ-ინსტრუმენტული მუსიკის ნაირსახეობად მიიჩნია და გუნდის ჩაშოყალიბება რომ შევთავაზეთ, საჭირო ინსტრუმენტების სია მოგვთხოვა. იმედი მაინც არ გადაგვიწურია, კედელზე გაკრული განცხადებების შორიახლოს ვტრიალებდით. თუ ვინმე შეჩერდებოდა და კითხვას დაიწყებდა, მაშინათვე „თავს ვესხმოდით“, ვუხსნიდით რა არის რეგბი, როგორი მოშავალი აქვს და ა. შ. ზოგს ვიყოლიებდით, ზოგი გვიჯიუტდებოდა, მაგრამ თუ მისი აღნაგობა თვალში ცოგვივიდოდა, მისამართს ან ტელეფონის ნომერს დავტყუებდით და მერე მოსვენებას არ ვაძლევდით: ვურეკავდით, რეგბისტების სახელით მისალოც ბარათებსა და წერილებს ვუგზავნიდით, რეგბის ვუქებდით, ვაქებებდით, დიდ მოშავალს ვუწინასწარმეტყველებდით. ასე ბევრი ახალგაზრდა „ვაცდუნეთ“, ბევრს გადავდეთ ჩვენი სენი. ასე შევმატეთ ჩვენს რიგებს, მაგალითად, დათო დავითაია, ზურაბ ხარშილაძე, ნუკრი აბაშიძე, დათო კილასონია, რომლებიც არა მარტო თავიანთი კლუბების, არამედ ქვეყნის ნაკრები გუნდის წამყვანი მოთამაშეები გახდნენ.

სავარჯიშოდ ქალაქგარეთ, ტრიალ შინდვრებში ვიკრიბებოდით. ტანსაცმელს ხის ძირში მივყრიდით, ჭერე დაღლილები და გაოფლილები სადმე წყალს თუ მივაგნებდით და სახეს მოვიბანდით, ჩვენი შხაპ-აბაზანაც ის იყო, ტრანსპორტი კი — გზაში წამოწეული ავტობუსი, რომელსაც ზოგჯერ საათობით ველოდებოდით. მაგრამ ვაი ჩვენი ბრალი თუ გაწვიმებოდა. ტალახში ამოსვრილებს ავტობუსში აღარ გვიშვებდნენ და ქანცგაწყვეტილები სახლში ფეხით ვბრუნდებოდით.

ბოლოს როგორც იქნა, ფეხბურთის მოედანზე შეგვიშვეს, მაგრამ ფხიზლად გვდარაჯობდნენ. არც შერკინების უფლება გვქონდა და არც ჯარიმის დასარტყმელი ნიშნულის გაკეთების. რა უნდა გვექნა, ხიზანის პრეტენზიები ვის გაუგია? მართალია, დაავალეს შეევშვით და ჩვენც წესიერად ვიქცეოდით, მაგრამ სტადიონის ხელმძღვანელები რას არ იმიზეზებდნენ იმისთვის, რომ თავიდან მოვეშორებინეთ. ერთი სიტყვით, ისეთ დღეში ვიყავით, არც გაგვეჭუყუნებოდა „დაწყევლილ მრგვალ ბურთს“ ხშირად აუგად რომ ვიხსენიებდით. ისე გავწვალდით, რომ ახლა თამამად შეგვიძლია ასეთი რუბრიკით წარმოგიდგინოთ: იცით თუ არა თქვენ... რომ ოვალური ბურთის უქონლობის გამო რეგბისტები ფეხბურთის ბურთით ვთამაშობდით და ვვარჯიშობდით? რომ მაშეებს ვთხოვეთ დაგვხმარებოდნენ. ის თამაში მეტად უკომპრომისო გამოდგა. „ჩვენი ოდესელები“ ჯერ კარგად იქცეოდნენ, მაგრამ როცა თამაში დაიძაბა, ნამუსზე ხელი აიღეს და აქეთ შემოგვიტიეს.

საინტერესო რამ შეგვემთხვა ქალაქ სევეროდონეცკში. თბილისის უნივერსიტეტის რეგბისტებს ქუჩებში სტვენით გვხვდებოდნენ. როცა მიზეზი ვიკითხეთ, აგვიხსნეს, ბაზარი თქვენებურმა სპეკულიანტებმა და ქორ-ვაჭრებმა დაიპყრეს და წლების განმავლობაში ატყავებენ ადგილობრივ მოსახლეობას. თავხედობითა და ხულიგნობითაც იკლებენ იქაურობასო.

ერთ მშვენიერ დღეს უნივერსიტეტის რეგბისტთა გუნდი ბაზარში თავს დაესხა საქართველოს სახელის შემარცხვენელ სპეკულიანტ-ქორვაჭრებს. „გუნდს“ და ჯერ კიდევ ბლებიდან იფრინა, მერე კი რამდენიმე საათში სახელმწიფო ფასებში გაყიდა მათი საქონელი. სტუდენტებს თვითნებობისათვის სასჯელი არ ასცდებოდათ, მთელი ქალაქი რომ არ გამოსარჩლებოდა. პარტიის საქალაქო კომიტეტში „პეტიციაც“ კი წარადგინეს სევეროდონეცკელებმა. მეორე თამაშზე თბილისელ სტუდენტებს ოვაციებით და „მოლოდცის“ ძახილით შეეგებნენ.

ასე ნელ-ნელა ვიკრეფდით ძალას, გავდიოდით საკავშირო არბენელზე. ამასობაში თბილისის გუნდები მინსკში, კიევში, ერევანში მიიწვიეს საჩვენებელი თამაშების ჩასატარებლად. მოსკოველები. თამაშით უდავოდ გვჯობნიდნენ, მაგრამ აქტიურობით და ენთუზიაზმით უთუოდ ჩვენ ვჯობდით. შეჯიბრებებს მაღალ დონეზე ვატარებდით. ქალაქის ორწრიანი პირველობის გარდა, ეწყობოდა გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიისა“ და კონსტიტუციის თასების გათამაშება. ჩვენს ქვეყანაში პირველმა თბილისის სპორტული ინვენტარის ფაბრიკამ დაამზადა რეგბის ბურთები და სპორტული ფორმა. ომისშემდგომი პირველი მნიშვნელოვანი შეჯიბრებები — პროფკავშირთა პირველობა და საკავშირო ჩემპიონატი თბილისში ჩატარდა და მოასპარეზე ექვსი გუნდიდან ორი თბილისისა იყო.

აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ რეგბისტებს ძალზე გულთბილი დამოკიდებულება ჰქონდათ სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლებთან და ხშირად მათი მხარდაჭერითაც სარგებლობდნენ. ეს პირველ რიგში ფეხბურთელებზე ითქმის, რომლებიც მუდამ მზად იყვნენ რითაც შეეძლოთ დაგვხმარებოდნენ.

ნელ-ნელა სხვებმაც კეთილი თვალით დაგვიწყეს ყურება.

განსაკუთრებით გვახარებდა ის, რომ ჩვენს მომხრეთა შორის საქვეყნოდ აღიარებული სპორტსმენებიც იყვნენ. ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარეობაზე თვით ბორის პაიჭაძე დავიყოლიეთ. მისი ხელშეწყობით ვარჯიშის პირობებიც გაგვიუმჯობესდა და ზოგიერთი მნიშვნელოვანი მატჩი „დინამოს“ სტადიონზეც გავმართეთ.

ფედერაციის მუშაობაში აქტიურად ჩაება წარსულში ცნობილი მოკრივე ბორის კვინიხიძე. სწორედ მისი ინიციატივით გამოიცა პირველად ქართულ ენაზე რეგბის წესები.

რადგან იმ დროს ქომაგებად ავტორიტეტული ადამიანები გვჭირდებოდა, „ვიეშმაკეთ“ და ფედერაციაში ნონა გაფრინდაშვილიც მოვიწვიეთ. ნონას ზერელედ არ შეუსრულებია თავისი ახალი მოვალეობა. მარტო ის რად ღირს, რომ მან ინგლისიდან ჩამოგვიტანა რეგბის ცნობილი სპეციალისტის ბ. სკოტის წიგნი ამ თამაშის ტექნიკასა და ტაქტიკაზე. იმ წლებში ეს წიგნი ჩვენი გუნდების სახელმძღვანელოდ იქცა.

აი, ასე ჩაეყარა საფუძველი რეგბის თბილისში. მართალია, რეგბისტთა ტურნირი ჯერ კიდევ 1947 წელს ჩატარდა თბილისში და მასში მასპინძლებიც მონაწილეობდნენ, მაგრამ ეს იყო სპორტის სხვადასხვა სახეობებიდან შეწვეული მოთამაშეებით დაკომპლექტებული გუნდი, რომელიც სათბურის ყვავილს ჰგავდა და ტურნირის დამთავრებისთანავე საბნის ბუშტივით გაქრა. გადმოცემით, ადრე ფოთში ინგლისელ მეზღვაურებსაც უთამაშიათ რეგბი, ლელობურთიც ხომ ერთგვარად რეგბის წინამორბედია, მაგრამ ეს ყველაფერი ჩვენი რეგბის პრეისტორიაა — ზოგი სინამდვილე, ზოგიც ლეგენდა. მთავარი კი ისაა, რომ ამ თამაშს მყარი საფუძველი ამ 25 წლის წინათ ჩაეყარა და მისი მესაძირკვლენი თავდადებული და გულანთებული ენთუზიასტები იყვნენ. ისინი ცარიელ სიძნელეს არ შეუშინებია, ისე ატარეს პირველმკვლავთა ტვირთი. არადა, დრო გადის, ჭაღალდზე, სამწუხაროდ, მხოლოდ ციფრები და თარიღები რჩება, მათი გარჯა, რეგბისადმი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება კი მხოლოდ მათ თანამედროვეთა მეხსიერებაში რჩება.

ზოგმა შეიძლება შეგვახსენოს, არც მთლად ასეთი ანგელოზები ყოფილხართ, არც თქვენთვის ყოფილა დავა და უსიამოვნება უცხოო. დიახ, რეგბი ვაქაცური თამაშია და ფიზიკური კონტაქტებიც გამორჩევა. სანამ ალღოს ავუღებდით ეს ე. წ. „ფიზიკური კონტაქტები“ არც თუ იშვიათად შეხლა-შემოხლით მთავრდებოდა (იყო შემთხვევა მსაჯიც კი გაგეკეთებია შუა თამაშიდან), მაგრამ უსიამოვნებას თამაშის დამთავრებისთანავე ვივიწყებდით და ერთმანეთს ძმებივით ვშორდებოდით. ერთი სიტყვით, კარგიც ბევრი იყო და ცუდიც და ამ სტიქიაში რეგბიმ ბევრი ისეთ პიროვნებად აქცია, შემდეგში კარგი მოქალაქის სახელი რომ დაიგდეს.

ბოლოს აი, რა მინდა ვთქვა: თუ ჩვენში რეგბის დღესდღეობით მაყურებელი აკლია, ეს არამც და არამც არ არის თვითონ თამაშის ბრალი. ვიდრე არ გვექნება სპეციალური სტადიონი, ვიდრე არ შეწყდება გულისგამაწვრილებელი ჭაუზები თამაშებში, ვიდრე ქართული რეგბი არ გახდება უფრო ტექნიკური და კომბინაციური, ბუნებრივია, მას უფრო პატარა აუდიტორია ეყოლება, ვიდრე სხვა პოპულარულ სახეობებს. გულახდილად ვთქვათ: ისეთი თამაშით, რასაც ზოგჯერ მძაფრი საბრძოლო მომენტებით აღსავსე სპორტული სანახაობებით განებივრებულ მაყურებელს ვთავაზობთ, ალბათ ვერ შევძლებთ გულშემატკივართა გამრავლებას.

ჰვიი მრელაშვილი.

რაც სტატისტიკას არ აღუნუსხავს



შამათი სამ სვლაში

„ლელოს“ 3 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილი შ. სუხიტაშვილის (გორი) ამოცანა ასე ამოიხსნება: 1. ...b5 2. ლd6+ მფa5 b4X.

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ მორიგი, 31-ე ტირაჟებისა, რომლებიც 3 აგვისტოს მოსკოვში გაიმართა.

„სპორტლოტო 6 45“-დან: გაიყიდა 652 372 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობით (15 ბარათი) მოგება 392 მანეთია, ოთხისთვის (1332) — 44, სამისთვის (26054) — 3.

„სპორტლოტო 5 36“-დან: გაიყიდა 5 482 341 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (19 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (4251) — 15, სამისთვის (152984) — 6.

31-ე ტირაჟისა და ათტირაჟიანის (21-დან 30-ის ჩათვლით) ბარათების მოგებათა განაღდება 18 აგვისტოდან 18 სექტემბრის ჩათვლით.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია.
აგვისტო. რიტმული ტანვარჯიში — **9.40 (1);** „სპორტლოტოს“ ტირაჟი — **10.20 (1);** საინფორმაციო სპორტი: „როსტოვის დიდი სპორტ-ჩეისი“ — **21.15 (2);** საფეხბურთო მიმოხილვა — **22.45 (1).**

მსოფლიო ჩემპიონატი ქალთა შორის: სსრკ — ბულგარეთი, აშშ — ჩინეთი — **22.20 (2).**

11 აგვისტო. საფეხბურთო მიმოხილვა — **10.15 (1);** მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: გ. კასპაროვი — ა. კარპოვის მატჩ-რევანში — **24.00 (1).**

საქართველოს ტელევიზია.
10 აგვისტო. საფეხბურთო მიმოხილვა — **22.45.**
11 აგვისტო. საფეხბურთო მიმოხილვა — **10.15;** მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: გ. კასპაროვი — ა. კარპოვის მატჩ-რევანში — **24.00.**

საქართველოს სსრ სპორტის სახელმწიფო კომიტეტი, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო, „დინამოს“ ავტორის ოლქთა საბჭო, ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია, „ლელოს“ რედაქცია, საქართველოს ვეტერანი ფეხბურთელები აღწერილობაში, რომ გარდაცვალა ძველი ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი პირველი წევრი

ალექსანდრე კაპიტონის ძე
ელიავა

და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახის ნათესავებსა და ნაცნობებს.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსებში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 076